საქართველოს მელიორაცია
GEORGIAN AMELIORATION

+995 032 00 10 00
info@ag.ge
www.ag.ge

N გ-1976
30/06/2022

1976-გ-2-202206301419

საქართველოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს
ბატონ ჯაბა ფუტკარაძეს

ბატონო ჯაბა,

შპს „საქართველოს მელიორაციაში“ შემოსულია თქვენი 31.05.2022წ. N01-01-10/2408 წერილი, რომელშიც დასმულია საკითხი ქობულეთში, თავისუფლების ქ. N71-ში მდებარე 1364 კვ.მ. შენობა-ნაგებობისა და მასზე დამგრეებული 5467 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შპს „ქართული პლასტმასის წარმოებისათვის“ სარგებლობის უფლებით გაცემის შესახებ.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ხსენებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ გადის შპს „საქართველოს მელიორაციის“ საკუთრებაში არსებული სმეკალოვის დამშრობი მასივის (ს/კ 20.00.305) კ-9-4-1 და კ-9-4-2-1 შემკრები არხები, რომლის გასხვისების ზოლები, საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 30.06.2003წ. N19 „სამელიორაციო სისიტემების ნაგებობებისათვის მიწის ზოლებისა და ნაკვეთების მიჩენა-გასხვისების სამშენებლო ნორმების დამტკიცების შესახებ“ ბრძანების შესაბამისად, შეადგენს 8-8 მეტრს არხის კიდეებიდან ორივე მხარეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე შემდგომში მიწის ნაკვეთის რაიმე ფორმით გასხვისების შესაბამის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იქნას გასხვისების ზოლების დაცულობა. ასევე დაცული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 31.12.2013წ. N409 და N440 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რათა ხელი არ შეეშალოს სამელიორაციო სისტემის გამართულ ტექნიკურ ექსპლუატაციას. აღნიშნული შეზღუდვა ასახული უნდა იყოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“, ხელშეკრულების რეგისტრირებისას.

პატივისცემით,

თენგიზ ნასარიძე

გენერალური დირექტორი